

100 WOMEN

ასი წელიწადი გავიდა, რაც ბრიტანეთში - ისევე, როგორც საქართველოში - ქალებს პირველად მიანიჭეს ხმის მიცემის უფლება. წარსულის სუფრაჟისტების გასახსენებლად და აღსანიშნავად - ეპოქაში, სადაც მათი მიღწევები ხშირად დაუფასებელი რჩება, ლონდონში ილუსტრირებული პორტრეტების ახალი გამოფენა მოეწყო, რომლის მიზანია ფოტოზე გამოსახულ ქალს ძალაუფლება დაუბრუნოს. გამოფენა, რომელსაც ნიკ ნაითის „SHOWstudio“ მასშინძლობს და ბევს კეისი კურირებს, 100 მოდელსა და 55 ხელოვანს აერთიანებს, რომლებიც კეისიმ იდეალურად დააწყვილა. კურატორი და ილუსტრატორი თავად მოგვითხრობს ვრცლად ამ შოუზე, მის მესიჟსა და ქალებზე.

სილვია ბომბარდინი: დასაწყისისთვის მინდოდა მეკითხა თუ როგორ დაიბადა ეს გამოფენა. პირველად როდის მოგივიდათ იდეა და რა პრინციპით შეარჩიეთ მონაწილე ხელოვანები და ქალები? ბევს კეისი: როდესაც ახალი რედაქტორი მიმა ვიკლესიო ჩვენი გუნდის წევრი გახდა, სამომავლო გამოფენების თემატიკებს განვიხილავდით. ვიცოდით, გვსურდა ისეთი გამოფენა მოგვეწყო, რომელიც ქალებს ძალას მიანიჭებდა და გადავწყვიტეთ, რომ გაერთიანებულ სამეფოში ქალთა საარჩევნო უფლების მოპოვების 100 წლის იუბილე იდეალური საწყისი იქნებოდა. მოდელების არჩევა გართულდა, რადგან არჩევანი უამრავ ბრწყინვალე ქალბატონს შორის უნდა გაგვეკეთებინა. თითოეულ მათგანს დავუკავშირდი და როდესაც აარჩიეს თავიანთი ფოტოსურათები, მოდელები ისეთ ხელოვანებთან დავაწყვილე, რომლებიც ვიცოდი, მათ სამართლიანად ასახავდნენ. „SHOWstudio“-ს ილუსტრატორთა რიცხვი 80-ზე მეტია, ამ პროექტისთვის კი დაახლოებით 55 მათგანთან ვითანამშრომლეთ, ეს ჩვენთვის თანამშრომელთა ყველაზე დიდი რაოდენობაა.

ამ თვის დასაწყისში, ა.შ.შ.-ს შუალედურ არჩევნებამდე, ოპრა სიტყვით გამოვიდა და განაცხადა: „მივმართავ ყველას, ვის წინაპარსაც საარჩევნო უფლება არ ჰქონდა - თუ თქვენ საკუთარი ნებით არ აპირებთ ხმის მიცემას... თქვენს ოჯახს არცხვენთ“. გაერთიანებულ სამეფოში ქალების მიერ ხმის მიცემის უფლების მოპოვების 100 წლის იუბილე პოლიტიკურ არეულობას დაემთხვა როგორც ამ ქვეყანაში, ასევე მის გარეთ. შოუს მომზადების დროს, რამდენად ფიქრობდით პოლიტიკაზე? ამ გამოფენაში პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ჩვენი ბრეინსტორმინგის სხდომა მიმდინარე „#metoo“ კამპანიას დაემთხვა. მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, რა თემაც არ უნდა აგვეჩია გამოფენისთვის, წინა პლანზე ქალებს გამოვიყვანდით და დავუბრუნებდით ძალაუფლებას, რათა მათვე გადაეწყვიტათ თუ რა ანიჭებდათ ძალას. 100 წლის იუბილე საკვანძო მოვლენას წააგავდა, რომელიც ასევე გვაჩვენებს, რომ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ქალთა თანასწორობისთვის ბრძოლაში. შედეგად მიღებული ნამუშევრების ერთობა, ჩემი აზრით, ქალებისთვის ძალის მინიჭების განუყოფელი ფორმაა - ნამუშევრების კურირების დროს გამუდმებით ვფიქრობდი, რომ ეს ქალები როგორც პირდაპირი გაგებით, ასევე გადატანითი მნიშვნელობით, გვერდში ედგნენ, ალამაზებდნენ და ძალას მატებდნენ ერთმანეთს.

გამოფენისთვის „100 ქალი“ ხელოვანებმა ნამუშევრები



მოდელის მიერ შერჩეული ფოტოსურათების მიხედვით შექმნეს. დღესდღეობით მოდის ილუსტრაცია, გარკვეულწილად, ნოსტალგიის ფორმაა - გვახსენებს დროს ფოტოგრაფიის არსებობამდე. ამასთან ერთად, შეუძლია ბევრი რამ ასწავლოს თანამედროვე მოდის ინდუსტრიას: ფიქრი და შესვენება, წნეხისა და სიჩქარის ნაცვლად. ამ პორტრეტების შემხედვარე, თქვენ, როგორც ილუსტრატორს, თუ მიგაჩნიათ, რომ ხატვით შესაძლებელია მიაღწიო იმას, რასაც ფოტოგრაფიით ვერ მიაღწევ? ამ თემაზე არაერთხელ მისაუბრია ნიკ ნაითთან და ვთანხმდებით, რომ ორივე საშუალება იღწვის საერთო მიზნის მიღწევისკენ, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა გზებით. როდესაც გამორჩეულ მოდის ფოტოსურათს ქმნი, ყველაფერს ერთად წარმოგიდგენენ: სამოსს, მოდელს, თმასა და მაკიაჟს, - გამოწვევაა ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტების დანახვა, არჩევა და შემდეგ მათი წინა პლანზე გადმოტანა. რაც შეეხება გამოწვევას რომელსაც ილუსტრირებისას ვაწყდებით, ესაა ყველაფრის ნახვა და არაფრიდან დანყება; პირდაპირი გაგებით - ცარიელი ფურცლიდან. თუმცა მიზანი ერთი და იგივეა, მოკლედ და სრულად გადმოსცე გარეგნობის შემადგენელი ნაწილების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ყველაზე ლამაზი და ლაკონური გზით. ორივე მეთოდი ცდილობს არა ზუსტად ასახოს სამოსი, არამედ გამოაჩინოს ამ სამოსით გამოწვეული ემოცია.

100 მოდელის არჩევა, რომელიც წარმოადგენს 100 ქალს, შეიძლება შემდეგდელად წარმოჩნდეს - სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ სწორედ მოდელები არიან


ის ადამიანები, რომელთაც ყველაზე ნაკლებად აქვთ საშუალება გააკონტროლონ თუ როგორ წარმოაჩენენ მათ, ადამიანთა შორის ყველაზე მეტად სწორედ მოდელებს ექცევიან ისე, თითქოს ნივთები არიან. გამოფენის მიზანია მათთვის ძალისა და კონტროლის დაბრუნება, რაც დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანია. რა იყო ყველაზე საინტერესო, ან უცნაური მიზეზი, რამაც მათი არჩევანი განაპირობა? ისტორიულად, ქალებისთვის რთულია გააკონტროლონ თუ რას იფიქრებს და როგორ წარმოაჩენს მათ საზოგადოება, განსაკუთრებით კი მოდის ინდუსტრიაში. მოდელებს აცმევენ, სტილს ურჩევენ და მაკიაჟს უკეთებენ ხშირად მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოუდგენია ეს ფოტოგრაფსა და შემოქმედებით დირექტორს. ამ გამოფენისთვის, მოდელებისთვის ძალის მინიჭება გვსურდა და თვითონ უნდა გადაეწყვიტათ თუ სინამდვილეში რა მატებს ქალს ძალას. შედეგიც მძლავრი მივიღეთ. ალისა საზერლენდმა მოდის ინდუსტრიას ფარდა ახადა და აღიარა: „სიმართლე გითხრათ, მოდასთან ურთიერთობით არაერთი განსაცდელი გამოვიარე. როგორც ახალგაზრდა მოდელმა, ვუძლებდი ბუღინგს აგენტებისგან, სექსუალურ ძალადობას ფოტოგრაფებისგან, მაიძულებდნენ ისეთ გადაღებებში მონაწილეობას, რისი სანინააღმდეგოც ვიყავი, გაძლებული მაქვს ჩემი გარეგნობის უსაზღვრო კრიტიკა და სააგენტოს მიერ ფინანსების ბოროტად გამოყენება“. მან, როგორც ქალმა, ყველაზე კარგად საკუთარი ძალა შეიგრძნო როდესაც ფრენის პირველ გაკვეთილს დაესწრო უბრალოდ ჯინსის შარვალში და მაისურში გამოწყობილი, „არჩეული არა იმ მიზეზით რომ მისაღებია, ან ჯავშანის

ფუნქციას ასრულებს, არამედ იმიტომ, რომ კომფორტული და პრაქტიკულია“. მშვენიერმა მოდელმა, ჰალიმა ადენმა საკუთარი ძალა მარიო სორენტისთან პირველი გადაღების დროს შეიგრძნო, ის ხიჯებით იყო შემოსილი: „ცხოვრებაში პირველად გავაანალიზე, რომ ადამიანს შეუძლია იყოს მოკრძალებული და ამავედროულად დაიმკვიდროს ადგილი უმაღლესი მოდის სამყაროში“. შესანიშნავი იყო ის მრავალფეროვნება, რაც მივიღეთ, ხოლო მათი დათვალიერებით ცხადი იყო, რომ თითოეულმა მოდელმა დიდხანს და ფრთხილად იფიქრა იმაზე, თუ რა ანიჭებდა სინამდვილეში ძალას. ციტატები და გარეგნობები თითოეულ შემთხვევაში ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული იყო. უფრო ცხადად დავინახეთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ ქალურობაზე შექმნილი შეხედულებების დამსხვრევა და რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეულ ქალს მისცე საკუთარ ინდივიდუალიზმში აყვავების შესაძლებლობა.

ასევე მომეწონა, რომ ბევრმა მოდელმა შიშველი პორტრეტები აარჩია - ჯესიკა მილერმა, სლიქ ვუდსმა, კლაუდია შიფერმა - ან პორტრეტები, სადაც საცვლები აცვიათ - ჯოან სმოლსმა, კალი უჩისმა. ცხადია, მოდას შეუძლია ძალის მონიჭება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარ კანში კარგად გრძნობდე თავს. ან როგორც ადვა აბა ამბობს, „ჩაცმა მიყვარს, მაგრამ მთავარია შინაგანად როგორ ვგრძნობ თავს“. თქვენი აზრით, როგორ ასახავს ეს ნახატები მოდელების გრძნობებს და არა მათ გარეგნობას? ნამუშევრების შეკვეთისას ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო თითოეული ხელოვანისთვის ერთდროულად მიგვეწოდებინა მოდელის ციტატა და მათ მიერ არჩეული ფოტოსურათი. მიხდოდა მხატვარი მიმხვდარიყო იმ ემოციურ კავშირს, რომელიც მოდელებს ჰქონდათ არჩეულ სამოსთან და ის ფართო კონტექსტი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამოსს მათთვის და მათი ცხოვრებისთვის იმ კონკრეტულ დროს. მოდელები ისეთ მხატვრებთან დავაწყვილე, რომელთაც, ჩემი აზრით, კარგად ესმოდათ მათი ხასიათი და შეძლებდნენ მათი დამახასიათებელი თვისებების სააშკარაოზე გამოტანას; უბრალო ხაზოვანი ნამუშევრები - გააზრებული და მნიშვნელოვანი გარეგნობით, რაც მოითხოვდა შეჩერებას; ან ენერგიული, აბსტრაქტული ნამუშევრები, რომლებიც არაჩვეულებრივი სამოსის ენერგიასა და ძალას ემთხვეოდა. გარეგნობა მნიშვნელოვანია, თუმცა როგორც აღნიშნეთ, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში მოდელის გრძნობებია და მხატვრის მიერ ამ გრძნობების ინტერპრეტირება.

აღლისა საზერლენდის იმედგაცრუება აღნიშნეთ მოდასთან მიმართებაში, და სამწუხაროდ, მისი გამოცდილება უჩვეულო არ არის. თუმცა მონაწილე მოდელთა განსხვავებულობა, ყოველი შემთხვევისთვის და ძლივს, სასიამოვნო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ შეიცვალა მოდის ინდუსტრია უკანასკნელ წლებში, რაც განაპირობა ისეთი აქტივისტების საქმიანობამ, როგორიცაა ადვა. რა თქმა უნდა, როგორც ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის

ABBey LEE KERSHAW BY FRÉDÉRIC FOREST





ADWOA ABOAH BY DANIEL SEGROVE

ბრძოლაში, აქაც დიდი ძალისხმევაა საჭირო. როგორია თქვენი წარმოდგენა დღევანდელ მოდის ინდუსტრიაზე? მივიჩნევ, მოდის ინდუსტრიამ, და ზოგადად საზოგადოებამ, პროგრესი განიცადა; თუმცა როგორც ყველა საკვანძო მოვლენისას, დროა დაფიქრდე თუ სადამდე მოხვედი და კიდევ რამხელა გზა გაქვს გასავლელი. ვფიქრობ, მოდის ინდუსტრია წინა ფრონტზე იბრძვის მრავალფეროვნებისა და ცვლილებებისთვის. არსებობს საჭიროება ისეთი პიონერი იმიჯმეიკერი ადამიანებისა, როგორიცაა ნიკ ნაითი, რათა მათ გაუკვალონ გზა უფრო ყოვლისმომცველ მოდის ინდუსტრიას, რასაც ნაითი მთელი თავისი კარიერის განმავლობაში აკეთებს. მაგალითისთვის ეიმი მულინსის „Fashion Able“ ისტორია ავიღოთ, ჟურნალში “Dazed”: მულინსმა ეს ფოტო აარჩია, სადაც თავს ძლიერად გრძნობს, შეუდარებელმა პეტრა ლუნენბურგმა კი ეს მომენტი ილუსტრაციით ასახა.

ყველაზე მეტად მომწონს თქვენ მიერ შესრულებული ავენგ ჩუოლის პორტრეტი, “One Eye Girl”-ის მიერ დახატული ორსული ბეჰატი პრინსლუ და ემა ლარსონის მიერ აკვარელით დახატული საფრონ ვადერი. ვიცი რთული შევითხვაა, თუმცა აუცილებლად უნდა გვითხოთ: რომელიმე ნამუშევარს თუ ანიჭებთ უპირატესობას, ან თუ არის რომელიმე თქვენთვის გამორჩეული? უღრმესი მადლობა! ძალიან რთული შევითხვაა, რადგან ყველა ნამუშევარი მიყვარს, თუმცა ჩემი აზრით, ჯენიფერ ქორკერის ნაქარგი რკალი ბუმბულებით ნამდვილად გამორჩეულია. ტრადიციული სამოდელო ილუსტრაცია სულ სხვა საფეხურზე აჰყავს და წინ უსწრებს ილუსტრირების ჩვენებურ გაგებას. ნამუშევარის ინსპირაცია ჯაქ იაგაცაკის მიერ შერჩეული ფოტო გახლავთ, ალექსანდრ მაკ-ჟეინის 2011 წლის გამაფხული-მაფხულის ჩვენებიდან. ქორკერმა ყველა ნამუშევარი გამჭვირვალე აბრეშუმისგან შექმნა და უარყო წარმოდგენა, რომ აბრეშუმი სისუსტესა და მსხვრევადობასთან ასოცირდება. მასალა შეგნებულად შეირჩა და გამოყენებული იყო შემდეგი მიზნით - შეწინააღმდეგებოდა ქალების სუსტ არსებებად აღქმას, სანაცვლოდ კი ეჩვენებინა, რომ მათ შეუძლიათ ერთდროულად იყვნენ ძლიერები და ლამაზები. ეს გამჭვირვალე მასალა შეგიძლიათ ორივე მხრიდან ნახოთ, თითოეულ მხარეს კი მეტ და მეტ დაფარულ დეტალს იპოვით, რომელთა აღმოჩენაც ერთი შეხედვით შეუძლებელია. ქორკერმა პარალელი გაავლო იაგაცაკის შეხედულებასთან, რომ კაბა ხელოვნების, მოდისა და ხელობის იდეალური ნაზავია - რაც ნამუშევარში აისახება არაჩვეულებრივად შესრულებული სათევზაო კაუჭებით, ბუმბულებითა და ხელით ნაქარგით; ცენტრში ფენიქსის გამოსახვით - რომელიც ხელახლა დაბადებას ნიშნავს, და ზეიმობს ქალებს. ეს ნამუშევარი ზუსტად გამოხატავს იმ განსხვავებას, რომელიც თანამედროვე და ტრადიციული მოდის ილუსტრაციას შორის არსებობს. ნამუშევარი, როგორც “SHOWstudio”, მიღებულ ნორმებს ებრძვის და კვეტს საზღვრებს ყველაზე ლამაზი და განსხვავებული გზით.